

შპს „ცენტურიონი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერი

შპს “ცენტურიონი”

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
1 ზოგადი ინფორმაცია	5
2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	5
3-17 განმარტებით შენიშვნები	9-13

შპს „ცენტურიონი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	53,922	60,527
გაცემული გრძელვადიანი სესხი		208,000	
არამატერიალური აქტივები		14,250	12,447
სულ გრძელვადიანი აქტივები		276,172	72,974
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	80,764	36,031
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	1,193,544	985,594
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1,295,191	1,630,660
მისაღები პროცენტი	7	38,359	38,359
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,607,859	2,690,644
სულ აქტივები		2,884,031	2,763,618
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		1,574,662	1,795,025
სულ კაპიტალი	8	1,574,862	1,795,225
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	974,024	642,972
მოკლევადიანი სესხები	10	270,000	244,000
საგადასახადო ვალდებულებები	11	65,145	81,421
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,309,169	968,393
მთლიანი ვალდებულებები		1,309,169	968,393
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		2,884,031	2,763,618

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს.

მიხეილ დევიძე

დირექტორი

შპს „ცენტურიონი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	53,922	60,527
გაცემული გრძელვადიანი სესხი		208,000	
არამატერიალური აქტივები		14,250	12,447
სულ გრძელვადიანი აქტივები		276,172	72,974
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	80,764	36,031
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	1,193,544	985,594
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1,295,191	1,630,660
მისაღები პროცენტი	7	38,359	38,359
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,607,859	2,690,644
სულ აქტივები		2,884,031	2,763,618
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		1,574,662	1,795,025
სულ კაპიტალი	8	1,574,862	1,795,225
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	974,024	642,972
მოკლევადიანი სესხები	10	270,000	244,000
საგადასახადო ვალდებულებები	11	65,145	81,421
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,309,169	968,393
მთლიანი ვალდებულებები		1,309,169	968,393
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		2,884,031	2,763,618

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს.


მიხეილ დევიძე

დირექტორი



სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	12	8,402,214	8,263,099
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(6,002,561)	(5,892,938)
საერთო მოგება		2,399,653	2,370,161
მიწოდების ხარჯები	14	(197,548)	(247,260)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1,536,705)	(1,387,982)
ცვება და ამორტიზაცია	3	(19,502)	(6,824)
საპროცენტო შემოსავალი		0	19,542
საპროცენტო ხარჯი		(5,925)	(18,650)
იჯარის ხარჯი		(192,191)	(185,071)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(621,956)	(350,588)
სხვა ხარჯები		(220,584)	(172,690)
სულ საოპერაციო ხარჯები		(2,794,411)	(2,349,523)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(394,758)	20,638
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	16	(124,784)	4,396
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	17	299,179	158,641
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(220,363)	183,675
მოგების გადასახადი			-
მოგება/(ზარალი)		(220,363)	183,675
სხვა სრული შემოსავალი			-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		(220,363)	183,675

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს.

მიხეილ დევიძე

დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	12	8,402,214	8,263,099
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(6,002,561)	(5,892,938)
საერთო მოგება		2,399,653	2,370,161
მინოდების ხარჯები	14	(197,548)	(247,260)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1,536,705)	(1,387,982)
ცვეთა და ამორტიზაცია	3	(19,502)	(6,824)
საპროცენტო შემოსავალი		0	19,542
საპროცენტო ხარჯი		(5,925)	(18,650)
იჯარის ხარჯი		(192,191)	(185,071)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(621,956)	(350,588)
სხვა ხარჯები		(220,584)	(172,690)
სულ საოპერაციო ხარჯები		(2,794,411)	(2,349,523)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(394,758)	20,638
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	16	(124,784)	4,396
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	17	299,179	158,641
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(220,363)	183,675
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/(ზარალი)		(220,363)	183,675
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		(220,363)	183,675

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს.


მიხეილ დევიძე

დირექტორი



შპს „ცენტურიონი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
საწყისი ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	200	1,611,350	1,611,550
კაპიტალის ზრდა/შემცირება			
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		183,674	183,674
გადახდილი დივიდენდები			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
საწყისი ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	200	1,795,024	1,795,224
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
წლის ზარალი	-	(220,363)	(220,363)
გადახდილი დივიდენდები	-	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	200	1,574,661	1,574,861

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს.

მიხეილ დევიძე

დირექტორი

შპს „ცენტურიონი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
საწყისი ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	200	1,611,350	1,611,550
კაპიტალის ზრდა/შემცირება			
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		183,674	183,674
გადახდილი დივიდენდები			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
საწყისი ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	200	1,795,024	1,795,224
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
წლის ზარალი	-	(220,363)	(220,363)
გადახდილი დივიდენდები	-	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	200	1,574,661	1,574,861

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს.



მიხეილ დევიძე

დირექტორი



შპს „ცენტურიონი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ცენტურიონი“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2005 წლის 4 ოქტომბერს საქართველოში რეგისტრირებული შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/ნ 205097170), იურიდიული მისამართით: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, კაჭარავას ქ. N58.

კომპანიის წილი თანაბრად გადანაწილებულია ოთხ მესაკუთრეზე: მერაბ ჩიჩუა 25%, გიორგი ჟღენტი 25%, დიმიტრი შენგელია 25%, ჯონი ქოჩიაშვილი 25%.

კომპანია ახორციელებს საოჯახო ქიმიის პროდუქციის იმპორტს საქართველოში და მის საბითუმო რეალიზაციას საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის საშუალებით.

2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 110 (2019 - 113).

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო

პოლიტიკამომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს, ამავე (მე-2) განმარტებით შენიშვნაში.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის სამუშაო ვალუტა ქართული ლარია, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ

შპს „ცენტურიონი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით უცხოური ვალუტაში.

განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/დანაკარგის ნაწილში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	<u>აშშ დოლარი</u>	<u>ევრო</u>
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს	2.8677	3.2095
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს	3.2766	4.0233

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთის დაირიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	<u>წელი</u>
მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	8
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებულ ანგარიშებზე არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

შპს „ცენტურიონი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებს, გადამუშავების დანახარჯებს და ამჟამინდელ მდგომარეობამდე სასაქონლო-მატერიალური მარაგების მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოვლენის მიზნით, ყოველწლიურად ხდება არალიკვიდურ მარაგების იდენტიფიკაცია, მოძველებული ერთეულების არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო აქტივები

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2020 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

შპს „ცენტურიონი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საწესდებო კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები განევიტანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები და დაშვებები

ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით ძირითადი დაშვებები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მნიშვნელოვანი კორექტივები განაპირობოს, მოცემულია ქვემოთ.

კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები აისახება მათი დადგომისთანავე.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჭეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

შპს „ცენტურიონი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალებები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები						
	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2019	3,941	59,613	5,697	77,387	6,970	153,608
შემოსვლა	0	10,381	0	0	0	10,381
გადაფასება						
გასვლა						0
31 დეკემბერი 2020	3,941	69,994	5,697	77,387	6,970	163,989
31 დეკემბერი 2019 დაგროვილი ცვეთა	(1,356)	(32,766)	(2,921)	(50,721)	(5,317)	(93,081)
პერიოდის ცვეთა	(789)	(9,474)	(806)	(5,256)	(661)	(16,986)
გასვლა						-
31 დეკემბერი 2020 დაგროვილი ცვეთა	(2,145)	(42,240)	(3,727)	(55,977)	(5,978)	(110,067)
წმინდა საბალანსო ღირებულება						0
31 დეკემბერი 2019	2,585	26,847	2,776	26,666	1,653	60,527
31 დეკემბერი 2020	1,796	27,754	1,970	21,410	992	53,922

4 ფული და ფულის ექვივალენტები

	31-12-20	31-12-19
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1,960	4,712
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	78,802	31,314
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2	6
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	80,764	36,031

შპს „ცენტურიონი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)**5 მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები**

	31-12-20	31-12-19
საქონელი	1,179,178	956,611
ნედლეული და მასალები	13,620	28,236
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	746	746
სულ მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,193,544	985,594

6 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31-12-20	31-12-19
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,294,067	1,629,599
სხვა მოთხოვნები	1,124	1,061
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1,295,191	1,630,660

7 გაცემული სესხები

	31-12-20	31-12-19
მისაღები პროცენტი	38,359	38,359
გაცემული სესხის ძირი	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	38,359	38,359

8 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი კომპანიაში შეადგენს 200 ლარს. 2020 წელს კომპანიის ზარალმა შეადგინა 220,363 ლარი, კომპანიის კაპიტალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,574,861 ლარს.

9 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31-12-20	31-12-19
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	86,453	108,360
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	763,887	429,231
გადასახდელი ხელფასები	114,524	83,891
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9,160	21,489
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	974,024	642,972

შპს „ცენტურიონი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

10 მოკლევადიანი სესხები

	31-12-20	31-12-19
სესხები პარტნიორებისგან	270,000	244,000
გადასახდელი პროცენტები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	270,000	244,000

11 საგადასახადო ვალდებულებები

	31-12-20	31-12-19
გადახდილი დღგ	-	(3,908)
ქონების გადასახადი	572	(586)
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	64,573	85,915
	65,145	81,421

12 ამონაგები

	2020	2019
შემოსავალი რეალიზიციიდან	8,488,385	8,407,856
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(86,171)	(144,757)
სულ ამონაგები	8,402,214	8,263,099

13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2020	2019
გაყიდული/შეძენილი საქონელი	6,060,314	5,991,531
შეძენილი საქონ. უკან დაბრ. და ფასდათმობა	(57,753)	(98,593)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6,002,561	5,892,938

14 მიწოდების ხარჯები

	2020	2019
საწვავის ხარჯი	165,816	211,626
გადაზიდვის ხარჯი	31,732	35,634
სულ მიწოდების ხარჯები	197,548	247,260

15 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
მარკეტინგული ხარჯები	575,651	316,693

შპს „ცენტურიონი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

საკონსულტაციო ხარჯები	26,800	16,800
კომუნიკაციის ხარჯები	11,276	10,212
კომპიუტერის ხარჯები	3,945	2,905
დაზღვევა	882	2,565
სხვა საოფისე ხარჯი	3,402	1,413
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	621,956	350,588

16 წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

	2020	2019
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	69,680	27,136
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(194,464)	(22,740)
	(124,784)	
		4,396

17 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	2020	2019
არასაოპერაციო შემოსავალი კრედიტ ნოტადან	221,781	148,580
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	77,398	10,061
	299,179	158,641

შპს „ცენტურიონი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

18 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარეები არიან შპს „დიპლომატ ჰოლდინგი“ და შპს „მასტერ თრეიდი“.

ნაშთები შპს „დიპლომატ ჰოლდინგი“ :

	31/12/2020	31/12/2019
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	169	1,560
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(5,000)	(5,000)
გაცემული სესხი/მისაღები პროცენტი	38,359	38,359
გაცემული სესხი/გაცემული სესხის ძირი	208,000	

ტრანზაქციები შპს „დიპლომატ ჰოლდინგი“:

	2020
შემოსავალი რეალიზიციიდან	2,540
გადახდილი თანხები	3,931

ნაშთები შპს „მასტერ თრეიდი“

	31/12/2020	31/12/2019
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1,696	1,000
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(16,200)	(16,200)

ტრანზაქციები შპს „მასტერ თრეიდი“

	2020
შემოსავალი რეალიზიციიდან	696

19 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

2020 წლის 12 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) კორონავირუსი პანდემიად გამოაცხადა. კოვიდ-19 პანდემიამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ეკონომიკური პროცესები, მათ შორის გავლენა იქონია კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზეც, თუმცა მენეჯმენტის შეფასებით, აღნიშნული გავლენა არარსებითია და კომპანიის უნარს, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, საფრთხე არ ემუქრება. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს.

20 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ და დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს.